პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი
5 მარტი
1942 წ.
№ 54 (6370)
ფასი 15 კაპ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

1942 წლის 2-3 მარტს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი—VII პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორი საკითხი:

1. საქართველოს სს რესპუბლიკაში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მომზადებისა და მიმდინარეობის შესახებ.

2. კოლმეურნეობებში პარტორგანიზაციების განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

პირველ საკითხზე პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. **ს. გ. ხოშტარიას** მოხსენება.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები: **გ. ნ. კოკაია** (გუდაუთის რაიონი), **გ. გ. მანუკიანი** (ბოგდანოვკის რაიონი), **შ. დ. ნუცუბიძე** (ლაგოდეხის რაიონი), **ბ. ი. ყურაშვილი** (მახარაძის რაიონი), **ვ. ი. ხუბაევი** (სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი), **ა. დ. ბუაძე** (წნორის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსი), **ა. ს. ხუჯაძე** (ხაშურის რაიონი), **ა. ლ. გაბუნია** (სამტრედიის რაიონი), **მ. მ. ქართველიშვილი** (მცხეთის რაიონი), **მ. ვ. ალავერდაშვილი** (სიღნაღის რაიონი), **ს. ვ. საყვარელიძე** (ორჯონიკიძის—ყოფ. ხარაგოულის რაიონი), **მ. ი. ჯაში** (საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი), **გ. დ. ჩაჩიბაია** (ზუგდიდის რაიონი), **გ. გ. თვალჭრელიძე** (აჭარის ასსრ), **კ. ბეჟვაია** (საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე), **ა. ნ. რაფავა** (საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი).

პირველ საკითხზე კამათში ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანი.**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ვ. დ. ბუჯიაშვილი.**

მეორე საკითხზე კამათში სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები: **ლ. ნ. გორგიძე** (წულუკიძის რაიონი), **ი. გ. ჩინჩალაძე** (ყვარლის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსი), **მ. ი. ბარამია** (აფხაზეთის ასსრ), **პ. კ. ნანიტაშვილი** (წულუკიძის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსი), **ი. ნ. დოიჯაშვილი** (ყარაიის რაიონი), **გ. კ. ცქიტიშვილი** (საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი).

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

ბოლშევიკურად განვახორციელოთ პლენუმის გადაწყვეტილებანი

2-3 მარტს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი—VII პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი: 1) საქართველოს სს რესპუბლიკაში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მომზადებისა და მიმდინარეობის შესახებ და 2) კოლმეურნეობებში პარტორგანიზაციების განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ. ორივე საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი. ამ გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურ განხორციელებას ახლა, დიდი სამამულო ომის პირობებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ფრონტი და ჩვენი ქვეყანა ისევე საჭიროებს მეტ პურს, მეტ სურსათსა და ნედლეულს, როგორც იარაღს. **დიდი სტალინის** მოწოდებამ ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარების გაძლიერების შესახებ დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია მთელს ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა სოფელს ამ მხრივ სერიოზული მუშაობა აქვს ჩასატარებელი.

ახლოვდება საგაზაფხულო თესვის დღეები. თესვის მაღალხარისხოვნად ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ახლა, როცა გასულ წელთან შედარებით უნდა დავთესოთ რაც შეიძლება მეტი ფართობი, მივიღოთ გაცილებით უფრო უხვი მოსავალი, შემდგომ გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

პლენუმმა აღნიშნა, რომ საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მაღალხარისხოვან რემონტს, თესლის დროულად მომზადებას, მინერალური და ორგანული სასუქების ორგანიზებულ გატანას, მუშა-პირუტყვის მზრუნველ მოვლას და მის ყოფნას სრული მუშაობის უნარიანობის მდგომარეობაში. ჩვენი რესპუბლიკის მრავალი მოწინავე კოლმეურნეობა კარგად მოემზადა საგაზაფხულო თესვისათვის. ასეთია, მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის, სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის, ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოულის) რაიონის სოფელ ლაშის კოლმეურნეობა და სხვები. ადგილობრივი შინარესურსების ნაკლებად გამოყენებისა და იმის გამო, რომ სერიოზული ყურადღება არ მიაქციეს სახელოსნოებში სათადარიგო ნაწილების დამზადებასა და აღდგენას, ტრაქტორების რემონტის გეგმის შესრულებაში ჩამორჩნენ ოჩამჩირის, შინდისის, გალის მტს-ები. ზოგან (მაგალითად, საგარეჯოს, მცხეთის, სიღნაღის, წითელწყაროს, ყვარლის, თელავის, თბილისის რაიონებში და სხვ.) სათანადო მუშაობა არ ჩაუტარებიათ თესლის საჭირო რაოდენობით მოსამარაგებლად და გამოსაყოფად. პარტიის საოლქო კომიტეტებმა, რაიკომებმა, რაისაბჭოების აღმასკომებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებებმა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე სასწრაფოდ უნდა შეამოწმონ თესვისათვის მზადების მიმდინარეობა კოლმეურნეობებში და ყველა ზომები მიიღონ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, საგაზაფხულო თესვის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის.

სამამულო ომმა მუშახელის გარკვეული ნაწილი ფრონტზე გაიწვია. ამიტომ საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა შრომითი რეზერვები. სრული დატვირთვით უნდა მუშაობდნენ კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები. საბავშვო ბაგების მოწყობა გააძლიერებს ქალთა დიდი რაოდენობით ჩაბმას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. ტრაქტორები ორ ცვლად უნდა მუშაობდნენ. სატრაქტორო პარკს აბსოლუტურად არავითარი შეფერხება არ უნდა ჰქონდეს საწვავ-საცხები მასალების მხრივ. მისი მაქსიმალური ეკონომია და ზუსტი კონტროლი ყოველდღიური საქმეა. ომიანობის დროის შესაფერისად უნდა განმტკიცდეს შრომის დისციპლინა ყველგან—ყველა უბანზე.

ბოლო უნდა მოეღოს კოლმეურნეობათა 1941 წლის წლიური ანგარიშების შედგენის გაჭიანურებას. ამავე დროს, აქედანვე უნდა გაიშალოს მუშაობა 1942 წლისათვის საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის შესადგენად.

მთელი მუშაობა ისე უნდა ჩავატაროთ, რომ განუხრელად განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ.

პარტიულმა, საბჭოთა, სამიწათმოქმედო ორგანიზაციებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებებმა ისე უნდა მოაწყონ მუშაობა, რომ ბოლშევიკურად განახორციელონ საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ამ პლენუმზე ამხ. **კ. ჩარკვიანის** მიერ წარმოთქმულ სიტყვაში დასახული ამოცანები. თავის სიტყვაში ამხ. კ. ჩარკვიანი შეეხო მარცვლეული კულტურების სათესი ფართობების გაზრდის, უხვი მოსავლიანობის მიღწევის, ციტრუსების, ჩაის პლანტაციების, ხეხილის ბაღებისა და ვენახების, პირუტყვის მზრუნველი მოვლის, შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, ქალთა შრომის გამოყენების, ახალი საკოლმეურნეო კადრების დაწინაურების, კოლმეურნეობებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების, შრომის სწორი აღრიცხვისა და მთელ რიგ სხვა საკითხებს.

საქართველოს პარტორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ ამოცანებს, რომლებიც დასახა ამხანაგმა **ლ. პ. ბერიამ** მარცვლეული კულტურების ფართოდ განვითარების, მოსავლიანობის ამაღლებისა და საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის მისაღწევად. ამ ამოცანებს ახლა, როცა გმირი წითელი არმია ებრძვის ფაშისტურ ურდოებს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ინტერესები, გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის სრული დამარცხების ამოცანები მოითხოვენ სოფლად მთელი მუშაობის გაუმჯობესებას.

პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი კოლმეურნეობებში პარტორგანიზაციების განმტკიცებისათვის.

საქართველოს პარტორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს ამხანაგ **სტალინის** 6 ნოემბრის ისტორიულ მოხსენებაში დაყენებულ ამოცანათა შესასრულებლად. გარკვეული მუშაობა ჩატარდა სოციალისტურ სოფელში. მაგრამ არის ნაკლოვანებებიც. ზოგან ჯერ კიდევ სუსტია კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლი, სუსტად არის დაყენებული შინაპარტიული მუშაობა, პოლიტიკური აგიტაცია მასებში, პარტიაში ახალ წევრთა მიღება, იშვიათად იწვევენ პარტიულ კრებებს. კოლმეურნეობათა პარტორგანიზაციებში პარტიაში ახალ წევრთა მიღების საქმე სუსტად არის დაყენებული დუშეთის, ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოულის), ქარელის, კასპის, ლუქსემბურგის, ხობის, თელავის, ცაგერის, წალკის, ოჩამჩირის, სოხუმის, საგარეჯოსა და ბორჯომის რაიონებში. ეს ნაკლოვანებები იმით აიხსნება, რომ პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები ზოგჯერ არასაკმაო ხელმძღვანელობა-დახმარებას უწევენ კოლმეურნეობათა პარტორგანიზაციებს. სოფლად პარტიული მუშაობა ისე უნდა გარდავქმნათ, რომ მთლიანად დავუქვემდებაროთ გერმანელი ოკუპანტების განადგურების ამოცანებს. ამისათვის საჭიროა მასების მობილიზაცია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა და სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მუშაობის ფართოდ გაშლა. დაუღალავად უნდა ვიზრუნოთ ტრაქტორისტების, ბრიგადირების, მერგოლეურების ახალი კადრების დაწინაურებისა და მომზადებისათვის, ქალთა შრომის გამოყენებისათვის, მათი დაწინაურებისა და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

სამამულო ომის პერიოდის მუშაობის სტილი უნდა დაინერგოს პარტორგანიზაციების მუშაობაში. საოლქო კომიტეტებისა და რაიკომების ბიუროს სხდომები არ უნდა იყოს დამძიმებული მრავალრიცხოვანი საკითხებით, ისეთი საკითხებით, რომელთა გადაწყვეტა შეიძლება ოპერატიულად, ბიუროს სხდომის გარეშე. ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკს აქვს და უნდა ჰქონდეს პერსონალური პასუხისმგებლობის გრძნობა ცალკეული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის მხრივ. საოლქო კომიტეტებმა და რაიკომებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ომის პერიოდში ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე ახლად დაწინაურებული კადრების გამოწრთობას. არ კმარა მარტოოდენ სემინარები, საჭიროა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებისა და პარტორგებისათვის თათბირების პრაქტიკის დანერგვა, მათთვის ინსტრუქტაჟის გაწევა პარტიული მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე. ასევე აუცილებელია მდივნის მოადგილეებისათვის კურს-სემინარების მოწყობა და ბიუროს სხდომებზე პარტორგანიზაციების მდივნებისა და პარტორგების ანგარიშების მოსმენა, გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების მიზნით.

ინდივიდუალური შერჩევის პრინციპის მტკიცედ დაცვით **ლენინ-სტალინის** საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ამხანაგების პარტიაში მიღება პარტორგანიზაციებისაგან მოითხოვს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას. დაუშვებელია სტაჟგადაცილებული კანდიდატების დიდი რაოდენობა. საჭიროა მათზე ზრუნვა და, ვინც ღირსია ატაროს **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის წევრის მაღალი სახელი, ის პარტიაში უნდა მივიღოთ. ამისათვის საჭიროა მუშაობის გაძლიერება კანდიდატებთან და პარტკომკავშირულ ჯგუფებთან.

საჭიროა სისტემატური მუშაობა ერთეულ კომუნისტებთან.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პარტიული კრებების გულდასმით მომზადებას და ამ კრებებზე კომუნისტების აქტივობას. კრებამ უნდა მიიღოს არა ზოგადი და ზერელე დადგენილება, არამედ კონკრეტული, საქმიანი, შინაარსიანი გადაწყვეტილებანი. საჭიროა მოვიწვიოთ ღია პარტიული კრებებიც, რომლებსაც დაესწრებიან უპარტიო კოლმეურნეები, პირველ რიგში მოწინავე, აქტიური კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები.

გადაჭრით უნდა გაძლიერდეს საგიტაციო-მასობრივი მუშაობა, აღიკვეთოს ფორმალური შერჩევა ადამიანებისა, როცა აგიტაციას, კითხვა-საუბარს ანდობენ პოლიტიკურად ნაკლებ გათვითცნობიერებულ და ზოგჯერ მცირემცოდნე ამხანაგებს. პარტიის საოლქო კომიტეტებისა და რაიკომების მდივნებმა პირადად უნდა ჩაატარონ აგიტკოლექტივების, აგიტპუნქტების ხელმძღვანელთა და აგიტატორების ინსტრუქტაჟი. საჭიროა აგრეთვე ჩატარდეს კოლმეურნეთა საერთო კრებები და კოლმეურნეთა აქტივის რაიონული კრებები ხელმძღვანელი ამხანაგების მონაწილეობით.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ძირეულ პრესას—კედლის გაზეთები თავის დროზე და მაღალხარისხოვნად უნდა გამოდიოდეს. საჭიროა ხშირად მოეწყოს კედლის გაზეთების რედაქტორთა ინსტრუქტაჟი. ამავე დროს საოლქო კომიტეტებმა და რაიკომებმა ფართოდ უნდა დანერგონ რადიოგადაცემათა კოლექტიური მოსმენა, სამამულო ომის მასალებზე საუბრები, პოლიტინფორმაცია ბრიგადებში, რგოლებში, კოლმეურნეთა სახლებში.

პარტიული მუშაობის განუყრელი ნაწილია **ლენინურ-სტალინური** კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა-დახმარება. კომკავშირმა დიდი მუშაობა ჩაატარა ამხანაგ **სტალინის** მითითებათა განსახორციელებლად. მას კიდევ უფრო მეტი დახმარება უნდა გავუწიოთ ნაკლოვანებების აღმოფხვრასა და ახალ წარმატებათა მოპოვებაში. იმ კოლმეურნეობებში, სადაც პარტორგანიზაციები არ არის, კომკავშირი მთლიანად პასუხისმგებელია პარტიისა და ხელისუფლების დირექტივების გატარებისათვის.

სოფლად პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ბოლშევიკურად უნდა გაშალონ პოლიტგანყოფილებათა უფროსებმა, რომლებიც რაიკომებთან კონტაქტში ანხორციელებენ პარტიის ღონისძიებებს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის VII პლენუმის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკური შესრულებისათვის ბრძოლა აქედანვე უნდა გაიშალოს. ეს ხელს შეუწყობს ულმობელ მტერზე ჩვენს გამარჯვებას და დააჩქარებს გერმანიის ფაშისტური ურდოების გარდუვალ განადგურებას.

მიხეილ ივანეს-ძე კალინინის სიტყვა მოსკოვის ოლქის სასოფლო კომკავშირულ ორგანიზაციათა მდივნების თათბირზე

ამხანაგებო, თქვენს თათბირს განსაზღვრული მიზანი აქვს: უნდა მოვითათბიროთ, როგორ მოვემზადოთ უკეთესად მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთათვის, როგორ ჩავატაროთ უკეთესად საგაზაფხულო თესვა. ამასთან დაკავშირებით კომკავშირელთა წინაშე დასმულია მეტად სერიოზული ამოცანები. კომკავშირელები დიდ ძალას წარმოადგენენ სოფლად. თუ ამ ძალას დავრაზმავთ, თუ კომკავშირული ორგანიზაცია კოლმეურნეობაში შესძლებს თან გაიყოლიოს არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ მოზრდილი კოლმეურნენიც, იგი უეჭველ წარმატებებს მიაღწევს საგაზაფხულო თესვის ჩატარებაში.

გასაგებია, რომ საგაზაფხულო თესვის მომზადებასა და ჩატარებაზე მარტო კომკავშირი არ იმუშავებს. ყოველივე ამისათვის იზრუნებენ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებიც. მაგრამ ჩვენ ერთობ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ თესვის წარმატებით ჩატარებას და გვსურს, რომ მობილიზებული იყოს მთელი საზოგადოებრიობა, მათ შორის კომკავშირიც.

რა მოთხოვნებს უყენებს ომი საგაზაფხულო თესვის სამუშაოებს?

პირველი და მთავარია სათესი ფართობის გადიდება. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ დათესილ იქნას მიწის მაქსიმალური რაოდენობა.

მოსკოვის ოლქს უხვად როდი მოეპოვება თავისუფალი დაუმუშავებელი მიწები, და როცა მოსკოვის მიდამოებში მაქსიმალურ თესვაზე ვლაპარაკობ, ეს იმას ნიშნავს, რომ საგაზაფხულო თესვის გეგმა უნდა შევასრულოთ, თანაც მაქსიმალურად მოკლე ვადებში უნდა დავთესოთ და, გარდა ამისა, უნდა გამოვიყენოთ მიწის ყოველი თავისუფალი ნაჭერი, სადაც უნდა იყოს იგი, საგლეხო ან საკოლმეურნეო ბოსტანია თუ სადგურისპირა ნაკვეთი. ყველაფერი უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ, რაც შეიძლება მეტი დავთესოთ გეგმის გადამეტებით. სწორედ კომკავშირელებმა უნდა გამოიჩინონ დიდი ინიციატივა, რათა ეს თავისუფალი მიწები აღრიცხონ და კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად წინდაწინ მოიფიქრონ, თუ როგორ უნდა იქნას ეს მიწები გამოყენებული ყაირათიანად. თუ მოსკოვის ოლქთან შეფარდებით ვილაპარაკებთ, აქ აფართოებულ უნდა იქნას კარტოფილის ნათესები. მოსკოვის ოლქისათვის ეს ძირითადი კულტურაა, კარტოფილი ყველგან უნდა დავთესოთ, სადაც კი შეიძლება. პირდაპირ გეტყვით: ამხანაგო კომკავშირელებო, მეტი კარტოფილი, ერთხელ კიდევ მეტი და ერთხელ კიდევ მეტი კარტოფილი. ცხადია, გადიდებულ უნდა იქნას ბოსტნეული კულტურების სათესი ფართობიც.

ამხანაგებო, შეიგნეთ ამ წლის საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა მთელი მნიშვნელობა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა უდიდეს პროცესში, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მილიონობით ადამიანები, განსაკუთრებით ქალები, კომკავშირელებმა თავიანთი ახალგაზრდული ხალისი გამოიჩინონ, თავიანთი ახალგაზრდული ენერგია შეიტანონ ამ პროცესში.

მტკიცედ და გაბედულად დასძლიეთ ინერტობა, რასაც სოფლად შეხვდებით, და მებრძოლურად, კომკავშირულად აამოძრავეთ ყველა ბერკეტი იმისათვის, რომ წარმატებით ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა.

კოლმეურნეობათა კომკავშირული ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობის გამგეობას, თავმჯდომარეს იმაში, რომ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებში ჩააბას ყველა კოლმეურნე, გამოიყენოს მთელი გამწევი ძალა, მთელი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყველაფერი ახლავე მზად გვქონდეს საგაზაფხულო თესვისათვის: ინვენტარიც შეკეთებული იყოს, თესლიც მომზადებული, აკაზმულობაც შეკეთებული და ადამიანებმაც იცოდნენ, თუ რომელ ნაკვეთზე იმუშავებენ, ხოლო, რაც მთავარია, ამხანაგებო, პირველივე დღიდან ეცადეთ, რომ ყველაფერი მაქსიმალურად იქნას გამოყენებული საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის. რომ საგაზაფხულო თესვის დროს მაღალ დონეზე იქნას აყვანილი შრომის ნაყოფიერება.

ახლა ომი მიმდინარეობს. მე არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ სოფლად ყველას სწადია, რომ გერმანელები დავამარცხოთ.

მაგრამ მარტო ეს წადილი ცოტაა, ეს იგივეა, რომ არაფერი გააკეთო. თუ გვსურს, რომ გერმანელები დავამარცხოთ, იგი უნდა ვანადგუროთ არა სიტყვით, არამედ საქმით. და აი, თუ მოსკოვის ოლქზე ვილაპარაკებთ, პირდაპირ უნდა ვთქვათ: თუ გვსურს მონაწილეობა მივიღოთ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებაში, უნდა დავრგოთ რაც შეიძლება მეტი კარტოფილი.

რასაკვირველია, გლეხ ქალს შეუძლია გვითხრას: ოკუპანტები კარტოფილით როგორ უნდა ვანადგუროთო? ასეთი განწყობილება შესაძლოა, და თქვენ, კომკავშირელებმა, კოლმეურნეებს უნდა უთხრათ, რომ უზარმაზარ წითელ არმიას, რომელიც გერმანელ ოკუპანტებს ებრძვის და წარმატებით მიდის დასავლეთისაკენ,—ამ არმიას კარგი კვება და ყოველმხრივ კარგი მომარაგება ესაჭიროება. თქვენ თვითონ გესმით, რომ ადამიანი, რომელიც არმიაში იმყოფება, ბევრ ნაკლებობას და გაჭირვებას იტანს. მეომარი სანგარში ზის, დღედაღამ ყინვაშია. მას რომ ძალა ჰქონდეს, მას რომ ენერგია ჰქონდეს, მუდამ რომ ბრძოლის სურვილი ჰქონდეს, მას რომ მხნეობა ჰქონდეს, ამისათვის მებრძოლი მაძღრისად და კარგად უნდა ვკვებოთ. თქვენ რომ ორი-სამი დღე არაფერი გეჭამოთ, მერმე კი სირბილში შეჯიბრება გამოაცხადონ ან ფეხბურთის თამაში შემოგთავაზონ, ყოველი თქვენგანი იტყვის: სირბილი არ შემიძლია ან ცუდი ფეხბურთელი ვარო. მაშასადამე, მებრძოლები კარგად, მაძღრისად, გემრიელი საჭმლით უნდა ვკვებოთ. ჩვენი არმია უხვად უნდა მოვამარაგოთ საჭირო პროდუქტებით. უნდა მივცეთ არმიასა და მოსახლეობას რაც შეიძლება მეტი ხორცი. კარტოფილი ღორის კარგი საკვებია, ხოლო რაც უფრო მეტ ღორებს გავასუქებთ, მით უფრო მეტ ხორცს მიიღებენ არმია და მოსახლეობა.

წელს, ომიანობის დროის პირობებში, საგაზაფხულო თესვა სანიმუშოდ, მინიმალურად მოკლე ვადებში უნდა იქნას ჩატარებული. კარგი დათესვით საფუძველი უნდა ჩავუყაროთ უხვი მოსავლის მიღებას.

მაშასადამე, ამხანაგო კომკავშირელებო, თქვენ უნდა იბრძოლოთ იმისათვის, რომ საგაზაფხულო თესვამ კარგად ჩაიაროს, რომ პირველ რიგში შესრულებულ იქნას გეგმა და მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყოველი ნაჭერი თავისუფალი მიწა. აი რა არის ამოცანა. მე ვიტყოდი: ეს ამოცანა საბჭოთა მოქალაქისათვის კანონი უნდა გახდეს. ეს, ამხანაგებო, პირველი ამოცანაა. მეორე ამოცანაა მივიღოთ უაღრესად უხვი მოსავალი, გამოვართვათ მიწას ყველაფერი, რის მოცემაც მას შეუძლია. აი ამიტომ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა ხარისხმა უნდა უზრუნველჰყოს მოსავლის წარმატება. და სწორედ თქვენ, ამხანაგო კომკავშირელებო, რაც შეგიძლიათ ყველაფერი უნდა გააკეთოთ, რათა საგაზაფხულო თესვის სამაგალითოდ ჩატარებით საფუძველი ჩაუყაროთ უხვ მოსავალს. მე არ ვილაპარაკებ აქ, თუ რა უნდა გაკეთდეს ამისათვის. თქვენ კოლმეურნეები ხართ, ეს თქვენ ჩემზე ნაკლებად როდი იცით.

ამრიგად, თქვენ გაქვთ ორი ძირითადი დავალება: პირველი — რაც შეიძლება მეტი დავთესოთ, მეორე—უხვი მოსავალი აიღოთ. და სწორედ ამით გამოიხატება, ამხანაგებო, თქვენი სამსახური სამშობლოსადმი, თქვენი დახმარება ფრონტისადმი, თქვენი ყველაზე ეფექტიანი მონაწილეობა ფაშიზმთან ბრძოლაში.

აქ ამხანაგები ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ კომკავშირელები ერთობ ბევრ რამეს აკეთებენ საგაზაფხულო თესვის მოსამზადებლად, რომ ისინი ცდილობენ კარგად მოამზადონ კოლმეურნეობანი მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთათვის. ეს ძალიან კარგია, ყოველივე ეს ქების ღირსია, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ზოგიერთი კომკავშირელი ცდილობს შესცვალოს კოლმეურნეობათა თავმჯდომარენი.

თქვენ ამბობთ: ჩვენ ესა და ეს არა გვყოფნიდა, ჩვენ წავედით, ვიშოვნეთ, გადავცვალეთო. რაღას აკეთებს თავმჯდომარე? ზის და ბუხართან თბება? საჭიროა თავმჯდომარემ მეტი იმუშაოს. თქვენი საქმეა დაეხმაროთ, გავლენა მოახდინოთ, წაუბიძგოთ, მოსვენება არ მისცეთ ადამიანებს, ფუტკარსავით უკბინოთ, ხოლო როცა ფუტკარი ადამიანს ჰკბენს, იგი სწრაფად შეტრიალდება ხოლმე.

თუ არა და რა გამოდის, — ყველაფერს თქვენ გააკეთებთ, კოლმეურნეობის თავმჯდომარე კი ფეხმორთხმული იჯდება: დაე ჩემს მაგივრად სხვებმა იმუშაონო.

მხედველობაში იქონიეთ, ამხანაგო კომკავშირელებო: არის ორგანიზაციის, აგიტაციის, პროპაგანდის ხელმძღვანელობის ან მონაწილეობის ორი წესი.

ერთი წესია—ყველაფერს თვითონ აკეთებდე. არის ზოგი ისეთი კომკავშირელი, რომ ყველაფერს თვითონ აკეთებს: ქოხ-სამკითხველოს გამგეც არის, კრებასაც იწვევს, მოხსენებასაც აკეთებს, აგიტაციასაც ეწევა კოლმეურნეობაში ახალი წევრების მოსაზიდავად, საწევრო შესატანებსაც იღებს. ერთი სიტყვით, ერთი კაცი აკეთებს ყველაფერს, და იგი დილიდან საღამომდე მუშაობს, სხვა კომკავშირელები კი, რომლებიც მის გვერდით ცხოვრობენ, არაფრით დატვირთული არ არიან. ასე ხდება ჩვენში და თითქოს საქმე ცოტაოდნად წინ მიიწევს, მაგრამ მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ორგანიზატორის ძალა მარტო ის კი არ უნდა იყოს, რომ იგი თვითონ მუშაობს, არამედ ის, რომ სხვებიც ამუშაოს და სხვებიც თან გაიყოლიოს. აი, რომ შეიძლებოდეს იმის წარმოდგენა, რომ მე კომკავშირელი ვარ (ეს, რასაკვირველია, უკვე შეუძლებელია) **(სიცილი)**, და კოლმეურნეობაში მივედი, არასგზით ყველაფრის გაკეთებას მე თვითონ არ დავიწყებდი, არამედ ვეცდებოდი მთელი მუშაობა ადგილობრივი ხალხის დახმარებით შემესრულებინა, რათა ყოველ მათგანს ჰქონოდა დავალება, ყოველი მათგანი დასაქმებული ყოფილიყო, ერთი სიტყვით, რომ ყოველ მათგანს ემუშავნა. უფრო მეტიც, თუ შევნიშნავდი, რომ ერთი კომკავშირელი კომკავშირში მხოლოდ ირიცხება, ხოლო არავითარ სამუშაოს არ ასრულებს, მას უფრო ხშირად დავტვირთავდი: აი კეთილინებე და გააკეთე ესა და ეს; და ხშირად შევამოწმებდი, რას აკეთებს, როგორ მუშაობს.

მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია მივაღწიოთ წარმატებას. შეიგნეთ, ამხანაგებო, რომ როცა ბევრი ხალხი მუშაობს, როცა ყოველი ადამიანი დასაქმებულია, როცა კომკავშირის საერთო სამუშაო ყველა კომკავშირელს უნაწილდება, მაშინ საქმეც უკეთესად მიდის. ათი კაცი რომ მეტს და უკეთესად გააკეთებს, ვიდრე ერთი.

ახალგაზრდობის ორგანიზაციულად დარაზმვა მარტო იდეურ ნიადაგზე შეუძლებელია. ყველათვის როდი შედიან კომკავშირში იდეური რწმენით. რა თქმა უნდა, ძირითადად ახალგაზრდობა კომკავშირში იდეური გულისწადილით შედის, მას ესმის, კომკავშირი პარტიის პირველი და უახლოესი თანაშემწეა, მაგრამ არიან ახალგაზრდები, რომლებსაც კომკავშირში შესვლისას ჯერ კიდევ სუსტი იდეური მომზადება აქვთ, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ კომკავშირის მუშაობის იდეურ შინაარსზე. და აი კომკავშირში შესული ახალგაზრდების ეს ნაწილიც რომ იდეურ და რწმენის მქონე ადამიანებად გავხადოთ, საჭიროა ბევრი ვიმუშაოთ მათთან. საჭიროა ადამიანი კომკავშირს შეეჩვიოს, რომ კომკავშირული ორგანიზაცია მისი ყოფაცხოვრების ნაწილი გახდეს. აი ამისათვის საჭიროა, რომ იგი ყოველდღე რამეს აკეთებდეს. პრაქტიკულ მუშაობაში ადამიანი იწრთვნება, იზრდება, განმტკიცდება როგორც ორგანიზატორი, მაღალ იდეურ დონეს აღწევს. აი რატომ არის საჭირო, რომ თითოეულ კომკავშირელს პრაქტიკული სამუშაო ჰქონდეს, მუდამ რამე აკეთებდეს და თავისი მუშაობისათვის პასუხს აგებდეს კომკავშირული ორგანიზაციის წინაშე. მხოლოდ კოლექტიურ ერთსულოვან მუშაობაში შეგვიძლია აღვზარდოთ კარგი ორგანიზატორები, კარგი მუშაკები.

რატომ არის, რომ ჩვენს კოლმეურნეობაში ხშირად ხდება ასე: ვიდრე კოლმეურნეობას კარგი თავმჯდომარე ჰყავდა, კოლმეურნეობა იფურჩქნებოდა; თავმჯდომარე წავიდა, იქ დოყლაპია დასვეს და ერთ წელიწადში კოლმეურნეობას ველარ იცნობთ, ძალიან ცუდი გახდა. ეს იმიტომ ხდება, რომ თვითონ კოლმეურნენი პრაქტიკულ საქმეებში ჩაბმული არ არიან.

აი ამიტომ [illegible] გსურთ გახდეთ ნამდვილი ორგანიზატორები კოლმეურნეობაში, არა მარტო უნდა შეუწყოთ ხელი ყველაფრის გაკეთებას, არამედ კარგი ორგანიზატორებიც უნდა იყოთ, თვალყურს უნდა ადევნებდეთ ბრიგადირის მუშაობას, კოლმეურნეობის თავმჯდომარის მუშაობას, კოლმეურნის მუშაობას, უნდა დაეხმაროთ მათ, უნდა წააქეზოთ საკოლმეურნეო წარმოების სტახანოველები, ხოლო ზარმაცი კოლმეურნენი უნდა დატუქსოთ, დასძრახოთ. კომკავშირელებმა კოლმეურნეობაში ადმინისტრატორობა კი არ უნდა გასწიონ, არამედ საზოგადოებრივი ზემოქმედება უნდა განახორციელონ.

თქვენ გესმით ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვაობა. ვთქვათ, თქვენ მოაწყეთ ღია კომკავშირული კრება, რომელზეც კარგად შეამათრახეთ, მაგალითად, ისინი, ვინც სპეკულაციას ეწევა. ამას საზოგადოებრივი მნიშვნელობა ექნებოდა: ასეთ ადამიანს შეარცხვენდით იმისათვის, რომ იგი ომის ვითარებით სარგებლობს და სამმაგ ფასად ჰყიდის კარტოფილს ბაზარზე, ეცდებოდით მასზე საზოგადოებრივი ზეგავლენა მოგეხდინათ. რა თქმა უნდა, სპეკულანტზე ზემოქმედების მოსახდენად სხვა წესიც არსებობს—ადმინისტრაციული, მაგრამ მე ვლაპარაკობ ზემოქმედების საზოგადოებრივ წესზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის აღზრდისათვის.

ახლა კოლმეურნეობებში ძირითადად ქალები მუშაობენ. ამხანაგო კომკავშირელებო, თქვენი ამოცანაა ყველა ქალი ჩააბათ აქტიურ საწარმოო მუშაობაში, გააღვივოთ მათ გულში მაღალი პატრიოტული გრძნობა, გაიყოლიოთ ისინი. აი თუ თქვენ ამ ამოცანას შეასრულებთ, მაშინ კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა და მასებზე მისი ზემოქმედება ფრიად ეფექტიური იქნება.

ჩვენ უკვე შევთანხმდით, რომ წელს საგაზაფხულო თესვას საუკეთესოდ ჩავატარებთ და საფუძველს ჩავუყრით მაღალ მოსავალს. მაგრამ თუ თქვენ გსურთ სერიოზულად გადასწყვიტოთ ეს ამოცანა, მუშაობაში უნდა ჩააბათ მეტი ქალები, უნდა განუმარტოთ კოლმეურნე ქალებს, რომ საგაზაფხულო თესვის წარმატებაზე დამოკიდებულია ჩვენი წითელი არმიის და ხალხის მომარაგება პროდუქტებით. დარწმუნებული ვარ, ჩვენში ყველა ქალი დაინტერესებულია იმით, რომ მეტი რაოდენობით და საუკეთესოდ მოვამარაგოთ ჩვენი წითელი არმია და ჩვენი ზურგი სურსათით. თქვენ, კომკავშირელებმა, საქმე ისე უნდა დააყენოთ, რომ საგაზაფხულო თესვის დროს მინდვრად იმუშაოს ყველა კოლმეურნე ქალმა. კომკავშირელთა მუშაობა უნდა შეფასდეს არა მარტო იმით, რასაც ისინი თვითონ აკეთებენ, არამედ იმითაც, თუ როგორ გაიყოლიეს მათ ახალგაზრდობა. ყველა კოლმეურნე, განსაკუთრებით ქალები. უნდა გახსოვდეთ, რომ ქალები ძირითად ძალას წარმოადგენენ კოლმეურნეობაში. და თუ მინდვრის სამუშაოებში ყველა ქალს ჩავაბამთ და პატრიოტიზმის მაღალ გრძნობას ჩავუნერგავთ, ისინი ძალიან ბევრ რამეს გააკეთებენ.

მე ვფიქრობ, რომ კომკავშირელები მხარდაჭერას ჰპოვებენ ყველა კოლმეურნე ვაჟსა და ქალში, თუ კი მთელი თავისი ახალგაზრდული გატაცებით იბრძოლებენ უქნარობის წინააღმდეგ. უქნარობა შეუწყნარებელია, მეტადრე ომის დროს, როცა გააფთრებული ბრძოლებია, როცა ასობით ადამიანები ყოველდღე იხოცებიან ბრძოლის ველზე ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოსათვის. მე ვფიქრობ, თანაგრძნობასა და მხარდაჭერას ვპოვებთ მთელს ხალხში, თუ სასტიკად დავსჯით უქნარებს და მუქთახორებს.

ომის მრისხანე ჟამს, როდესაც ბრძოლის ველებზე სამშობლოს ბედი წყდება, არც ერთ პატიოსან ადამიანს არ შეუძლია განზე განუდგეს ბრძოლას. წარმოიდგინეთ ისეთი ადამიანი, რომელიც დადის და ქვეშ-ქვეშ იცინის, არაფერს არ აკეთებს და არც სურს გააკეთოს რამე. ასეთი ადამიანი ჩვენი მტერია. კომკავშირელებმა იგი სამარცხვინო ბოძზე უნდა გააკრან, უნდა ამხილონ მთელი ხალხის წინაშე. ხოლო თუ იგი გაუსწორებელია, სასტიკად უნდა დაისაჯოს. აი როგორ ხაზს უნდა დაადგეთ, ამხანაგო კომკავშირელებო!

კომკავშირელთა სამუშაო დიდი და პასუხსაგებია. მაგრამ, ამხანაგებო, თუ ჩვენი სახელოვანი წითელი არმია სძლევს მეტად ძლიერ მტერს, მტერს, რომელსაც მსოფლიოში ბადალი არა ჰყავს, ხოლო ჩვენი მეომრები მას დასავლეთისაკენ სდევნიან და საბჭოთა მიწა-წყალს სწმენდენ ფაშისტური სიბილწისაგან, მე ვფიქრობ, თქვენ ისწრაფვით გაუტოლდეთ ჩვენს მებრძოლ წითელარმიელებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, არ უნდა შეგაშინოთ პასუხისმგებლობამ და სიძნელემ, უნდა დასძლიოთ თქვენს წინაშე დასახული ამოცანები.

როცა ვამბობ, ასეთი უდიდესი ამოცანები უნდა დავსძლიოთ-მეთქი, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ კარგად და დროზე უნდა დავთესოთ. რა თქმა უნდა, თესვა შეიძლება უზრუნველვყოთ, თუ კი აგვისტომდე ვთესავთ, მაგრამ ასეთი ნათესებისაგან მოსავალს ვერ მიიღებთ. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ გაზაფხულის დრო, და თესვა აგრონომიული წესებით დადგენილ ვადებში უნდა დავამთავროთ.

კარგი თესვა კარგ მოსავალს უზრუნველჰყოფს, თუ თქვენ ამას მიაღწევთ, ჩვენს ქვეყანას პური, კარტოფილი, ბოსტნეული კულტურები და ყოველივე ის ექნება, რაც საჭიროა კვების პროდუქტებით ხალხის უზრუნველსაყოფად. როცა მე ვამბობ თქვენ-მეთქი, გგულისხმობთ არა მარტო თქვენ, კომკავშირელებს, არამედ მხედველობაში მაქვს, რომ თქვენ გახდებით ორგანიზატორები, აღაფრთოვანებთ დედებს, დებს, ძმებს, მამებს, რომ პირადი მაგალითის ძალით, მინდვრებში კარგი მუშაობით გაიყოლიებთ ყველა დანარჩენ კოლმეურნეს.

აი როცა ყოველივე ეს გაკეთდება, და როცა შემოდგომის მიწურულში კვლავ შევიკრიბებით თათბირზე, ჩვენ შეგვეძლება აქ ვთქვათ: ჩვენ, კომკავშირელებმა ჩვენი სიტყვა შევასრულეთ, სამშობლოს წინაშე ჩვენი ვალი მოვიხადეთ. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

(„კომსომოლსკაია პრავდა“, 3 მარტი).

წითელი არმიისა და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის კომისარიატის სამხედრო-სანიტარულ და სამკურნალო დაწესებულებათა მუშაკების დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში წითელი არმიის დაჭრილ მებრძოლთა და მეთაურთა ევაკუაციისა და მკურნალობის დარგში სანიმუშო და თავდადებული მუშაობისათვის დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით — ბრიგადის ექიმი ვ. ი. პოპოვი, ბრიგადის კომისარი მ. ი. რუდკინი, დივიზიის ექიმი ე. ი. სმირნოვი, მე-2 რანგის სამხედრო ექიმი გ. ვ. ფრადკინი.

წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია—11 კაცი.

შრომის წითელი დროშის ორდენით — 20 კაცი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით — 132 კაცი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით — 48 კაცი.

მედლით „მამაცობისათვის“ — 9 კაცი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 24 კაცი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“— 77 კაცი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 28 კაცი. (საკდესი).

წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსთა და რიგითი შემადგენლობის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებების სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსთა და რიგითი შემადგენლობის დიდი ჯგუფი.

„წითელი ვარსკვლავის“ ორდენით დაჯილდოებული არიან მაიორი **გრიგოლ იოსების-ძე ჩიტაიშვილი,** მაიორი **ლევან გრიგოლის-ძე შავდია,** მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოებული არიან ლეიტენანტი **გაბრიელ ივანეს-ძე ტატენაშვილი,** უფროსი ლეიტენანტი **შოთა ერმილეს-ძე ცისკარიძე** და უმცროსი სერჟანტი **შალვა ჩარიევი.**

ვ. ყარა-მურზა

წითელი არმიის არტილერიის უფროსთა და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობის დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის, არტილერიის კადრების საბრძოლო მომზადებისა და აღზრდის და მოქმედი არმიის საომარი მასალითა და საარტილერიო საჭურვლის საგნებით უზრუნველყოფის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით — არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი კ. რ. მიშკოვი.

წითელი დროშის ორდენით — პოდპოლკოვნიკი ი. ი. ალექსეევი, ლეიტენანტი ი. ს. ბოგდანოვი, 1-ლი რანგის სამხედრო ტექნიკოსი ვ. ვ. სუვოროვი, არტილერიის გენერალ-მაიორი მ. ნ. ჩისტიაკოვი, არტილერიის გენერალ-მაიორი ბ. ი. შერემეტოვი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულია 63 კაცი, საპატიო ნიშნის ორდენით—96 კაცი, მედლით „მამაცობისათვის“—2 კაცი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“—56 კაცი, მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“—1 კაცი, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“—95 კაცი. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

4 მარტის დილის ცნობა

3 მარტის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ აქტიურ საბრძოლო მოქმედებას გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა მებრძოლებმა, რომლებიც მტრის შევიწროებას განაგრძობენ გაანადგურეს მტრის 50-მდე გამაგრებული საცეცხლე წერტი, ბლინდაჟი, მიწური და მოსპეს გერმანელთა 2 ტანკი და 12 ავტომანქანა. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს დავლა—3 დაზგის და 19 ხელის ტყვიამფრქვევი. ბრძოლის ველზე ჰიტლერელებმა დასტოვეს თავის ჯარისკაცთა და ოფიცერთა 650 გვამი.

* * *

ჩვენი ქვეითი ჯარის ოცეულმა უმცროს ლეიტენანტ როის მეთაურობით ალყა შემოარტყა ქვიტკირის სახლს, რომელშიც მტრის 60-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი იმყოფებოდა. მას შემდეგ, რაც გერმანელებმა ტყვედ დანებებაზე უარი სთქვეს, ამხ. როიმ შენობას რამდენიმე გრანატი ესროლა. სახლიდან გამოვარდა 20 ჰიტლერელი, რომლებიც დამალვას ცდილობდნენ მაგრამ ჩვენმა მებრძოლებმა ყველანი მოსპეს. შენობის შიგნით 40 მოკლული და დაჭრილი გერმანელი აღმოჩნდა.

* * *

ჩრდილოეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე უკანასკნელ დღეებში თავი ისახელეს ლატვიელთა № ნაწილის მეტყვიამფრქვევეებმა ამხ. ლაცისმა და ბრონისმა. პირველმა მათგანმა 50, ხოლო მეორემ—32 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპო.

* * *

საზიზღარი გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების განადგურებაში წითელ არმიას აქტიურ დახმარებას უწევდა ახალგაზრდა პარტიზანთა მცირე ჯგუფი. ეს ჯგუფი მოქმედებდა სმოლენსკის ოლქის იზნოსკოვის რაიონში, რომელიც ამჟამად განთავისუფლებულია გერმანელებისაგან. საბრძოლო მოქმედების მარტო 5 კვირის განმავლობაში პარტიზანთა ჯგუფმა ამხ. ვ-ს ხელმძღვანელობით ააფეთქა გერმანელთა იარაღისა და სამხარი მასალის 2 საწყობი, ააფეთქა რამდენიმე ათასი მეტრი სატელეფონო ხაზი და რამდენჯერმე მოახდინა თავდასხმა გერმანელთა ალალებზე, რომლის დროსაც მტრის 9 ავტომანქანა მოსპო და 23 გერმანელი ჯარისკაცი დახოცა.

* * *

მე-17 ქვეითი დივიზიის 55-ე პოლკის მე-8 ასეულის ტყვე ობერ-ეფრეიტორმა ემილ ჰენგელმა განაცხადა: „მიმდინარე წლის დამდეგს მე სამარშო ბატალიონში ჩამრიცხეს და საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გამომგზავნეს. ბატალიონი ნაჩქარევად დგებოდა. ეს ბატალიონი უმთავრესად საწარმოთა 35-40 წლის მუშებით შევსეს. შაშხანის სროლა მათ ასე თუ ისე იცოდნენ, მაგრამ ტყვიამფრქვევის ხმარება კი არავინ არ იცოდა. სამარშო ბატალიონის ჯარისკაცთა სულიერი განწყობილება მეტად ცუდი იყო. არავინ არ ფიქრობდა, რომ ასე მალე და ასე მოულოდნელად ფრონტზე მოხვდებოდა. საზამთრო ტანსაცმელი არავისთვის არ მიუციათ. 13 თებერვალს საბრძოლველად გამოგვიყვანეს. წინა დღით გაგვაფრთხილეს, რომ ყველას, ვინც რუსებს არ ესვრის, ოფიცრები დაუყოვნებლივ დახვრეტენ. ბრძოლაში, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა, ჩვენი ბატალიონი განადგურებულ იქნა, მე კი ტყვედ ჩავვარდი".

* * *

რუმინეთის პირველი ქვეითი დივიზიის ეგერთა მე-5 პოლკის მეორე ასეულის ტყვე ჯარისკაცმა ვანდერ შტეფანმა განაცხადა: „რუმინელ ჯარისკაცებს არა სურთ სიცოცხლე გასწირონ ჰიტლერისა და მისი ბანდისათვის. ბევრი მოხერხებულ შემთხვევას ელის, რათა ტყვედ დანებდეს. ჩვენ, 20 კაცი, რკინიგზის გასწვრივ საპატრულოდ გამოგვგზავნეს. როდესაც ჩვენს საგუშაგოებს ვუახლოვდებოდით, სროლის ხმა შემოგვესმა. ყველანი მივხვდით, რომ რუსები შეტევაზე გადმოვიდნენ. ლეიტენანტმა კრიკონესკუმ გვიბრძანა საბრძოლო წესით დაწყობილიყავით, მაგრამ მისი ბრძანება არავინ არ შეასრულა. კრიკონესკუმ სამი ჯარისკაცი მოჰკლა, დანარჩენები კი უახლოეს სახლებში დაიმალნენ და რუსების მოსვლას ელოდნენ. მალე წითელარმიელებმაც მოგვისწრეს. მე და 16 ჩემმა ამხანაგმა იარაღი დავყარეთ და ხელი ავწიეთ. ჩვენ ყველანი მოხარული ვართ, რომ საბჭოთა ტყვეობაში ვართ".

* * *

გერმანელთა მიერ ოკუპირებული ევროპის ქვეყნების მოსახლეობა, რომელიც ჰიტლერელებმა გაძარცვეს, უმაგალითო გაჭირვებას განიცდის. საფრანგეთში მოსახლეობა სრულიად ვერ იღებს პურს, ხორცსა და ბოსტნეულს. პარიზში ბავშვთა სიკვდილიანობა უკანასკნელ დროს 29 პროცენტით გადიდდა. საბერძნეთში სურსათის ნაკლებობის გამო ყოველდღე ათას კაცზე მეტი შიმშილით კვდება. შიმშილით ათასობით კაცი კვდება იუგოსლავიასა, ჰოლანდიასა და ნორვეგიაში.

* * *

ამხ. ოსმუშნიკოვისა და მოტორინის ბრიგადებმა, რომლებიც გორკის ამხ. მოლოტოვის სახელობის ავტოქარხნის მჭრელი ინსტრუმენტის საამქროში მუშაობენ, თავდაცვის სახალხო კომისრის ამხანაგ სტალინის ბრძანების საპასუხოდ ვალდებულება იკისრეს ყოველდღე შეასრულონ არანაკლებ ორი ნორმისა. ამ ვალდებულებას ისინი წარმატებით ასრულებენ. ამხ. სოლოცუხინი, კარპოვი, ზემსკოვი და სხვები ცვლაში სამ-სამ და ოთხ-ოთხ შრომით ნორმას ასრულებენ.

4 მარტის საღამოს ცნობა

4 მარტის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეუპოვარ ბრძოლებს მტერთან და ფრონტის ზოგიერთ უბანზე რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

3 მარტის განმავლობაში საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულია გერმანელთა 3 თვითმფრინავი, საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო ერთი თვითმფრინავი და აეროდრომებზე მოსპობილია მტრის 14 თვითმფრინავი. სულ ამ დღის განმავლობაში მოსპობილია გერმანიის 18 თვითმფრინავი. ჩვენ 6 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

3 მარტის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა მოსპეს და დააზიანეს გერმანელთა 6 ტანკი, 120 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, სამხარი მასალით დატვირთული 50-მდე საზიდარი, 67 ქვემეხი, 7 საზენიტო-სატყვიამფრქვევო წერტი, ააფეთქეს სამხარი მასალის 2 საწყობი, გაანადგურეს რკინიგზის 7 ვაგონი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ჩვენი ჯარის ნაწილებმა, რომლებიც დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებენ, გააფთრებული ბრძოლების შედეგად გაარღვიეს მტრის გამაგრებული რაიონი და დიდი ზარალი მიაყენეს გერმანიის მე-17 ქვეითს დივიზიას. განადგურებულია ამ დივიზიის ორი პოლკის შტაბები. ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს ტყვეები და დიდძალი დავლა.

* * *

იმ ქვეგანაყოფის არტილერისტებმა, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი სვირიდოვი მეთაურობს (დასავლეთის ფრონტი), ბრძოლების უკანასკნელი კვირის განმავლობაში მოსპეს გერმანელთა 25 ნაღმსატყორცნი და მათი გუნდები, 11 საველე ქვემეხი, 3 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 32 ტყვიამფრქვევი, სამხარი მასალით დატვირთული 12 ავტომანქანა, სხვადასხვა სამხედრო ქონებით დატვირთული 79 საზიდარი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის სამ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

საკავალერიო ნაწილმა ამხ. მოსკალენკოს მეთაურობით (სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი) უკანასკნელი დღეების განმავლობაში დახოცა 940 რუმინელი და გერმანელი ჯარისკაცი და ხელთ იგდო დიდძალი დავლა.

* * *

მფრინავმა—უფროსმა ლეიტენანტმა ამხ. ბეკლიშოვმა ჰაერში ყოფნის დროს შეამჩნია გერმანიის 4 სატრანსპორტო თვითმფრინავი, რომლებიც იმ რაიონისაკენ მიდიოდნენ, სადაც საბჭოთა ჯარების მიერ გარშემორტყმული ჰიტლერელთა მე-16 არმია იმყოფება. მფრინავი გერმანიის მანქანებს შეუერთდა და მივიდა მტრის აეროდრომზე, რომელსაც ბომბების მთელი მარაგი დააყარა. მტრის მეზენიტეებმა მას სროლა აუტეხეს, მაგრამ უკვე გვიანღა იყო. აეროდრომზე მოსპობილ იქნა გერმანიის 5 თვითმფრინავი.

* * *

წითელარმიელმა ამხ. შაკიროვმა გრანატები დააყარა იმ შენობას, რომელშიც გერმანელები იმყოფებოდნენ. მოკლულ იქნა 10 ჰიტლერელი, 3 გერმანელი ჯარისკაცი კი ტყვედ დანებდა და ისინი ამხ. შაკიროვმა ჩვენი ნაწილის შტაბში მიიყვანა.

* * *

კურსკის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა, რომელსაც ამხ. ნ. მეთაურობს, მტრის ზურგში ერთი დასახლებული პუნქტი დაიკავა. ჰიტლერელები ოთხჯერ შეეცადნენ განედევნათ პარტიზანები ამ სოფლიდან, მაგრამ ყოველთვის ძლიერ საცეცხლე წინააღმდეგობას აწყდებოდნენ და უკან იხევდნენ, ამასთან ბრძოლის ველზე ბევრ მოკლულსა და დაჭრილს სტოვებდნენ. ამ დღეებში პარტიზანები თავს დაესხნენ გერმანელთა სამხედრო ნაწილს. საბჭოთა პატრიოტებმა მტერი ახლო მანძილზე მოუშვეს, შემდეგ კი ტყვიამფრქვევი და თოფი დაუშინეს. გერმანელებმა რამდენიმე ათეული ჯარისკაცი დაჰკარგეს და გაიქცნენ.

* * *

ჩვენი ჯარის ნაწილებს ხელში ჩაუვარდათ გერმანიის 480-ე ქვეითი პოლკის მე-3 ბატალიონის „სამედიცინო მდგომარეობის 10 დღის პატაკი", რომელსაც ხელს აწერს ბატალიონის ექიმი კელერი. პატაკში ნათქვამია, რომ დეკადის განმავლობაში ბატალიონის სამედიცინო პუნქტმა 105 დაჭრილი და ავადმყოფი მიიღო. დასასრულ კელერი სწერს: „ბატალიონის ჯარისკაცთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ცუდია. თავი იჩინა ბრძოლებში ხანგრძლივმა ყოფნამ და საზამთრო ტანსაცმლის უქონლობამ. ოფიცერთა და მერიგეთა უმრავლესობა ჰოსპიტალურ მკურნალობას საჭიროებს. დიდია დამზრალთა რაოდენობა. დაავადების ძალიან ბევრი შემთხვევაა დაჭრილებს შორის".

* * *

გერმანიის მე-2 სატანკო დივიზიის მე-2 მოტომსროლელი პოლკის მე-8 ასეულის ტყვე ეფრეიტორმა ერვინ შალმა განაცხადა: „22 თებერვალს, დილით, ხელის გრანატი აფეთქდა იმ ბლინდაჟში, სადაც ჩვენ ვცძინა. ჩვენ გარეთ გამოვცვივდით და წითელარმიელები დავინახეთ. მე, ობერ-ეფრეიტორმა და უნტერ-ოფიცერმა ხელი ავწიეთ და ტყვედ დავნებდით. დანარჩენები გაქცევას ცდილობდნენ, მაგრამ დახოცეს. იმ დროის განმავლობაში, რაც უკანდახევა დავიწყეთ, ჩვენს ასეულში 200 ჯარისკაციდან 40 კაცი დარჩა. მოკლულთა შორის არის ოცეულის 2 მეთაური ფელდფებელი შტარინი და კოლაუსი".

* * *

დიუსელდორფის (გერმანია) მახლობლად მდებარე ქიმიურ ქარხანაში ხანძარი გაჩნდა და აფეთქება მოხდა იმ საამქროში, სადაც რამდენიმე ასეული უცხოელი მუშა მუშაობდა. ნანგრევებიდან დღემდე 192 გვამი ამოიღეს. აფეთქების შემდეგ მეზობლად მდებარე ქიმიური ქარხნის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს, ხელისუფალთა მუქარის მიუხედავად, მუშაობის დაწყებაზე უარი სთქვეს და სამშობლოში გაგზავნა მოითხოვეს. ჰიტლერელებმა დახვრიტეს 40-მდე იტალიელი რომლებსაც ისინი გაფიცვის მოთავეებად სთვლიან.

* * *

ბაქოში ტრესტ „სტალინნეფტის" ერთ-ერთ სარეწში ოსტატ კარაპეტიანის ბრიგადის მიერ შეკეთებული ჭაბურღილები 15-ჯერ უფრო მეტ ნავთს იძლევიან, ვიდრე შეკეთებამდე იძლეოდნენ.

ტანკისტებისა და ქვეითების ერთობლივი დარტყმები

კალინინის ფრონტი, 3 მარტი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩვენმა № შენაერთმა დასძლია მტრის მედგარი წინააღმდეგობა და 2 დღის აქტიური შეტევითი ბრძოლების განმავლობაში დახოცა 1.100-ზე მეტი ჰიტლერელი გაანადგურა და ხელთ იგდო მრავალი ტანკი, ქვემეხი, ნაღმსატყორცნი, ტყვიამფრქვევი და სამხარი მასალა.

ქვეით ჯართან ოსტატურად „თანამოქმედებენ და წარმატებით ანადგურებენ გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებს ჩვენი სახელოვანი ტანკისტები. ლეიტენანტები — დანილოვისა და ფოკინის ტანკების ეკიპაჟებმა სოფელ ნ-სათვის გაჩაღებულ ბრძოლებში თავისი მანქანების ცეცხლითა და მუხლუხებით მოსპეს ფაშისტების 3 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 10 გამაგრებული სატყვიამფრქვევო წერტი, 3 საარტილერიო წერტი, ჯავშნიანი მანქანა და ქვეითი ჯარის ოცეული, ამასთან ხელთ იგდეს დიდი დავლა.

ოცეულის მეთაურმა უმცროსმა ლეიტენანტმა რაკოვმა ბრძანება მიიღო განედევნა მტერი, რომელიც ტყის პირას იყო გამაგრებული. ბრძოლის დროს რაკოვი დაჭრილ იქნა, მაგრამ განაგრძობდა წინსვლას. იგი ბრძოლის ველიდან მას შემდეგაც არ გასულა, რაც მეორედ, მესამედ მეოთხედ და მეხუთედ დასჭრეს.

— წინ, სამშობლოსათვის, ამხანაგებო! — მოუხმობდა იგი თავის მებრძოლებს. და მებრძოლნი ლომივით ებრძოდნენ მტერს. მტერი პანიკამ მოიცვა და უკუქცეულ იქნა.

№ ნაწილის ქვეითებმა დიდმნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტისათვის წარმოებულ 4 დღის ბრძოლებში დახოცეს 600 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამ დასახლებული პუნქტიდან უკან დახევისას ჰიტლერელთა სარდლობამ განკარგულება გასცა შეეგროვებინათ თავისი დაჭრილი ჯარისკაცები სახლებსა და ფარდულებში, შემდეგში კი ცეცხლი წაეკიდებინათ მათთვის.

ი. კორიავიჩევი

ჰიტლერელებს საბჭოთა პარტიზანებისა ეშინიათ

სტოკჰოლმი, 3 მარტი (საქდესი). გაზეთმა „კრაკაუერ ცაიტუნგმა" გამოაქვეყნა „სს" ჯარების სამხედრო კორესპონდენტ შნაიდერის წერილი, რომელშიც ავტორი აღიარებს, რომ გერმანიის ჯარების ზურგში ყველგან საბჭოთა პარტიზანები მოქმედებენ. „ისინი, — აცხადებს კორესპონდენტი, — ცდილობენ მოსპონ გერმანელთა ჯარის კოლონები და საზოგადოდ ყველაფერი, რასაც კი სარგებლობის მოტანა შეუძლია გერმანელებისათვის". კორესპონდენტს შემდეგი ეპიზოდი მოჰყავს: ერთხელ ს-ს ჩრდილოეთით მდებარე სოფლიდან გერმანელთა შტაბს აცნობეს — პარტიზანები ყოველდღე თავს ესხმიან ამ სოფელში დაბინავებულ ჯარისკაცებს, ჰხოცავენ მათ და ჩამოხრჩობით ემუქრებიან სოფლის მამასახლისს, რომელიც გერმანელთა სარდლობამ დანიშნაო. როცა ამ სოფელში მოსახლეობას სურსათს ართმევდნენ, პარტიზანები სოფელში შეიჭრნენ და მოჰკლეს 2 გერმანელი ჯარისკაცი და 1 უნტეროფიცერი. პარტიზანების სალიკვიდაციოდ „სს" რაზმი გაჰგზავნეს, რომელიც ცდილობდა გარს შემორტყმოდა ტყეს, სადაც პარტიზანები ჩასაფრდნენ. სს-ელები სატყეოს უფროსის ქოხში შეიჭრნენ, რომელშიც, მათი ცნობებით, პარტიზანული რაზმის შტაბი იმყოფებოდა. მაგრამ ხელში ვერავინ ჩაიგდეს, პარტიზანები ტყეში გაიფანტნენ.

ჰიტლერელები მხეცურად ეპყრობიან საბჭოთა სამხედრო ტყვეებს ნორვეგიაში

სტოკჰოლმი, 3 მარტი (საქდესი). ნორვეგიიდან იუწყებიან, რომ ჰიტლერელები მხეცურად ეპყრობიან ბოსეკოპისა და ალტენის (ჩრდილოეთი ნორვეგია) ბანაკებში მყოფ საბჭოთა სამხედრო ტყვეებს. ერთი ნორვეგიელი აღნიშნავს, რომ მის თვალწინ გერმანელმა გუშაგმა მოჰკლა საბჭოთა სამხედრო ტყვე, რომელმაც უარი განაცხადა მისი ბრძანების შესრულებაზე. რამდენიმე ნორვეგიელი მხოლოდ იმისათვის დააპატიმრეს, რომ თანაგრძნობა გამოუცხადეს ტყვე წითელარმიელებს. 16 წლის ნორვეგიელ ყმაწვილს, რომელმაც ტყვეებს ორი ბუტერბროდი უთავაზა, გერმანელებმა სცემეს და 14 დღე საპატიმროში ჰყავდათ.

„გერმანელი ჯარისკაცი ომის უმძიმეს პერიოდს განიცდის"

ჰიტლერული გაზეთის ცრემლიანი აღიარება

სტამბოლი, 3 მარტი (საქდესი). გაზეთ „ჰამბურგერ ფრემდენბლატის" სამხედრო კორესპონდენტი აღნიშნავს, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე „გერმანელი ჯარისკაცი ახლა ამ ომის უმძიმეს პერიოდს განიცდის" და ცრემლებს ღვრის: „ახალგაზრდა და ნორჩი სახე ჯარისკაცებისა, რომლებიც ომში თვალებგაბრწყინებული წავიდნენ ზაფხულში, ნაოჭებმა დაჰფარა. თვალებში აუტანელი გაჭირვებისა და სიკვდილის შიში გამოკრთის. ისინი სიკვდილს გაეცნენ და ათასნაირი სახით განიცადეს იგი. მათ სიკვდილი დასტრიალებს თავს. რამდენიმე თვეა იგი ფეხდაფეხ დასდევს მათ. ისინი მთელი დღეები, მთელი ღამეები, მთელი კვირები ომობენ შეუცვლელად და შეუსვენებლივ და ჯერ კიდევ იმედი აქვთ, რომ დარჩენილი ზამთრის თვეები სულს მოათქმევინებს და შეასვენებს მათ. მაგრამ ამ იმედებს აღსრულება არ უწერია. გერმანელი ჯარისკაცი,—ამთავრებს იგი,—თავისი ნერვების სიმაგრის საშინელ გამოცდაშია".

რუმინელი მოსახლეობის სიძულვილი გერმანელი დამპყრობლებისადმი

ლონდონი, 4 მარტი (საქდესი). აფის სააგენტოს ანკარელი კორესპონდენტი იუწყება, რომ რუმინეთის ჯარების გაგზავნა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, რაც ჰიტლერის მოთხოვნით გრძელდება, უდიდეს უკმაყოფილებას იწვევს რუმინელ მოსახლეობაში. დაჭრილებით სავსე მატარებლები, რომლებიც განუწყვეტლივ მოდიან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტიდან, მოსახლეობაზე მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენენ. დაჭრილთა მოზღვავება თებერვალში იმდენად დიდი იყო, რომ რუმინეთის რკინიგზებით კერძო პირთა მიმოსვლა შეაჩერეს. დაჭრილნი აშკარად აკრიტიკებენ ანტონესკუსა და ჰიტლერს და ბრალად სდებენ გერმანელებს რუმინელთა სრულ უგულებელყოფას. რუმინელ მოსახლეობასა და გერმანელებს შორის ხშირად ხდება ინციდენტები.

მუშახელის მწვავე ნაკლებობა გერმანიაში

ლონდონი, 2 მარტი (საქდესი). გაზეთ „ობსერვერის" დიპლომატიური მიმომხილველი სწერს, რომ გერმანიაში დღითი-დღე სულ უფრო და უფრო მწვავე ხდება მუშახელის ნაკლებობა. მუშახელის ნაკლებობა აიხსნება გერმანიის არმიის უდიდესი ზარალით საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, რაც სახელმწიფოში ახალი მობილიზაციის აუცილებლობას იწვევს, ეპიდემიების გავრცელებით და როგორც გერმანიის, ისე ოკუპირებული ქვეყნების სასურსათო რესურსების გამოლევით, რის შედეგადაც მუშათა შრომისუნარიანობა უჯმლობის ნიადაგზე მკვეთრად შემცირდა.

მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ჰიტლერის 30 იანვრის უკანასკნელი სიტყვა, რომელიც შეიცავდა გერმანელებისადმი ისტერიულ მოწოდებას იარაღის წარმოების გადიდების შესახებ, იმას მოწმობს, რომ ამ დარგში გერმანია სიძნელეებს განიცდის. გერმანიის პრესამ გააფთრებული კამპანია გააჩაღა, რომლის მიზანია დააჯეროს გერმანიის მუშები იმაში, რომ საჭიროა რადაც უნდა დაუჯდეთ გაადიდონ იარაღის წარმოება. გაზეთები საშინელი შედეგებით ემუქრებიან მოსახლეობას, თუ უახლოეს კვირებსა და თვეებში არ იქნება მიღებული საგანგებო ზომები სამხედრო წარმოების ტემპების გასაძლიერებლად.

მძევლების დახვრეტა პარიზში

ჟენევა, 4 მარტი (საქდესი). აქ დიდი აღშფოთება გამოიწვია ჰიტლერელთა ახალმა დანაშაულმა, რაც მათ პარიზში ჩაიდინეს. ჰავას-ოფის სააგენტომ ცნობა გამოაქვეყნა, რომ, უცნობ პირთა მიერ პარიზში ორი გერმანელი გუშაგის მოკვლასთან დაკავშირებით, გერმანელებმა საპასუხო რეპრესიის სახით 20 ფრანგი მძევალი დახვრიტეს. პარიზის გერმანელმა ხელისუფლებმა გამოაცხადეს, რომ ისინი კიდევ 20 კაცს დახვრეტენ, თუ თავდასხმის მონაწილენი 16 მარტამდე არ იქნებიან აღმოჩენილნი. გარდა ამისა, ჰიტლერელებმა განაცხადეს, რომ გერმანელ გუშაგთა დაკრძალვის დღეს პარიზში დახურულ იქნება ყველა თეატრი, კინო და რესტორანი.

საბჭოთა ფილმების წარმატება ინგლისში

ლონდონი, 1 მარტი (საქდესი). საბჭოთა ფილმებს—„მანერჰაიმის ხაზი" და „მტრის ზურგში"—დიდი წარმატება აქვთ ინგლისში. ლონდონის კინოთეატრში — „ემპაიერ", სადაც სურათ „მანერჰაიმის ხაზს" აჩვენებენ სახელწოდებით „50 გრადუსი ნულს ქვემოთ", ეს სურათი ნახა 50.000-ზე მეტმა კაცმა. 4 კვირის განმავლობაში ფილმი „მტრის ზურგში" 30 ათასმა კაცმა ნახა კინოთეატრ „ტოტლერში". ინგლისის მთელს კინოქსელში, ე. ი. 3.000 თეატრში, აჩვენებენ ფილმებს — „სტალინის სიტყვა ნოემბრის პარადზე", „ტულის მიმართულება" და ქრონიკას ილმენისა და მაისკის ფრონტზე ჩასვლის შესახებ.

ინდოეთში ჰგზავნიან ამერიკის მისიას მომარაგების საკითხებზე

ნიუ-იორკი, 4 მარტი (საქდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატები უახლოეს ხანში ინდოეთს ჰგზავნიან მისიას მომარაგების საკითხებზე. მისიის სათავეში იქნება რუზველტის პირადი წარმომადგენელი. არსებული ცნობებით, ამერიკელი სპეციალისტები დაეხმარებიან ინდოელ ჯარისკაცთათვის მცირეყალიბიანი იარაღის უფრო ფართოდ წარმოების მოწყობას ინდოეთში. ასეთი იარაღით უკვე შეიარაღებულია მილიონამდე კაცი.

პოლონელთა მასობრივი გადასახლება ვარშავის საუკეთესო კვარტალებიდან

სტამბოლი, 2 მარტი (საქდესი). გერმანულ გაზეთ „ჰამბურგერ ფრემდენბლატში" გამოქვეყნებულია ვარშავის გერმანელი გუბერნატორის ბრძანება, რომელშიც ნათქვამია, რომ ვარშავის საუკეთესო კვარტალები გერმანელებისათვის არის განკუთვნილი. საუკეთესო კვარტალებში მცხოვრები ყველა პოლონელი უმოკლეს ვადაში იქნება გადასახლებული ქალაქის სხვა ნაწილებში. გერმანელებისათვის განკუთვნილ ვარშავის კვარტალებში უკვე გადაიტანეს გერმანული სკოლები, სხვა დაწესებულებანი და ორგანიზაციები. იმ ბინებში, საიდანაც პოლონელები გადაასახლეს, გერმანელი ოფიცრები, მოხელეები და მათი ოჯახები ბინავდებიან.

ომი წყნარ ოკეანეში

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 3 მარტი (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს კომუნიკეში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ 24 საათის განმავლობაში ბატაანის ნახევარკუნძულზე (ფილიპინები) არავითარი სახმელეთო ოპერაცია არა ყოფილა.

ნიუ-იორკი, 4 მარტი (საქდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მინდანაოს კუნძულზე, ზამბოანგის რაიონში (კუნძულის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი), იაპონელთა ახალი დესანტები გადმოსხდნენ; ქალაქი ცეცხლშია გახვეული. იაპონიის სამხედრო ხომალდები, მათ შორის კრეისერები და საესკადრო ნაღმოსნები, უშენენ ფილიპინის არქიპელაგის კუნძულების ზოგიერთ ნავსადგურს. იერიში მოიტანეს სებუსა და არგაოზე (სებუს კუნძული) და სხვა კუნძულების მთელ რიგ ქალაქებზე.

ჯილბერტის კუნძულების დასავლეთით ამერიკის ფლოტილიაზე იაპონიის თვითმფრინავების თავდასხმისა და ამასთან გაჩაღებული საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა მტრის 16 თვითმფრინავი.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 3 მარტი (საქდესი). ბირმის ინგლისის სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ მდინარე სიტანგზე ინგლისის ყუმბარმშენებმა ეფექტიანად მიიტანეს იერიში იაპონიის ჯარების პოზიციებზე.

ავსტრალიის სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ 3 მარტს იაპონიის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ჩრდილოეთ ავსტრალიაში ქალაქ ბრუმსა და ვინდამზე. ბრუმს ტყვიამფრქვევი და ზარბაზანი დაუშინეს, ორივე ქალაქში ზოგიერთი რამ დანგრეულია. მსხვერპლი არ არის.

ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის ცნობები

ბატავია, 3 მარტი (საქდესი). ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის კომუნიკე იუწყება, რომ იავის კუნძულზე მტერმა ვერ მიაღწია წარმატებას და ვერ გასცილდა იმ პოზიციებს, რომლებიც 1 მარტს დაიკავა. ჰოლანდიის ინდოეთის ყუმბარმშენმა ავიაციამ იავის სანაპიროსთან დაბომბა იაპონიის გემები. ბომბები პირდაპირ მოხვდა 10 ათასი და 8 ათასი ტონა წყალწყვის ორ ტრანსპორტს. ერთი ბომბი სამ ჰიდროთვითმფრინავს შორის გასკდა, რომლებიც გასაფრენად იყვნენ მომზადებული. 2 მათგანი განადგურებულია. ჰოლანდიის ინდოეთის წყალქვეშა ნავმა იაპონიის ტანკერი ჩასძირა თავის კუნძულის სანაპიროსთან.

ბატავია, 4 მარტი (საქდესი). ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ იმ რაიონებში, სადაც იაპონელთა დესანტები გადმოსხდნენ, ჰოლანდიის ინდოეთის ჯარები ოპერაციებს დიდი შეუპოვრობით აწარმოებენ და ცდილობენ შეტევაზე გადავიდნენ. ზოგიერთ უბანზე იაპონელებმა მხოლოდ იმის შედეგად შესძლეს ცოტათი წინ წაწევა, რომ მათ რიცხვობრივი უპირატესობა ჰქონდათ, განსაკუთრებით ავიაციის მხრივ.

ჰოლანდიის ინდოეთის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს იაპონელთა მიერ დაკავებულ აეროდრომზე და ანგარები დაანგრიეს. ბომბები მოხვდა საზენიტო ბატარეის განლაგებას. იაპონიის დიდძალ ბომბდამშენს ტყვიამფრქვევები დაუშინეს.

იაპონიის ცნობები

ტოკიო, 3 მარტი (საქდესი). ოფიციალური ცნობების თანახმად, იავის კუნძულზე მოქმედი იაპონიის ჯარების ავანგარდებმა ბანდუნგის მახლობლად მდებარე პუნქტს მიაღწიეს.

ტოკიო, 4 მარტი (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტოს ცნობით, იაპონიის ჯარებმა იავის კუნძულზე დაიკავეს სტრატეგიული პუნქტი, რომელიც ბატავია-ბანდუნგის რკინიგზაზე მდებარეობს. იაპონიის ჯარების ერთმა საავანგარდო ნაწილმა მიაღწია ბანდუნგიდან 30 მილზე მდებარე პუნქტს. იაპონელთა მეორე რაზმი ბატავიას 50 მილზე მიუახლოვდა.

იაპონია-ჩინეთის ომი

1 მარტს იაპონიის ჯარები უშედეგოდ შეეცადნენ გადმომსხდარიყვნენ სიანშანის ყურეში, ჯეძიანის პროვინციის (ცენტრალური ჩინეთი) აღმოსავლეთ სანაპიროზე. იაპონელები იძულებული გახდნენ გემებზე დაბრუნებულიყვნენ.

ჩრდილოეთ ჩინეთში ბრძოლა სუიუანის პროვინციის დასავლეთ ნაწილში მიმდინარეობს.

3 მარტი (საქდესი).

ცვლილებანი ინგლისის მთავრობის შემადგენლობაში

ლონდონი, 4 მარტი (საქდესი). როიტერის სააგენტო იუწყება, რომ მთავრობის შემადგენლობაში ხდება ახალი ცვლილებანი, რის შედეგადაც პარლამენტის 6 წევრს პოსტები ეძლევა მთავრობაში, ხოლო მთავრობის 5 წევრი გადადგება.

გენერალური ვექილი უილიამ ჯოუიტი, ლორდ ჰენკის ნაცვლად, ინიშნება გენერალურ ხაზინადრად. მასვე დაეკისრება ომისშემდგომი რეკონსტრუქციის საკითხთა შესწავლა. ჯოუიტის ნაცვლად, გენერალურ ვექილად ინიშნება კეჭუელი. საადმირალოს სამოქალაქო ლორდად, კაპიტან ჰადსონის ნაცვლად, ინიშნება კაპიტანი პილკინგტონი. დომინიონების საქმეთა მინისტრის მოადგილად, შექსპირის ნაცვლად, ინიშნება ემრი-ევანსი. ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრის მოადგილედ, ალან ჩეპმენის ნაცვლად, ინიშნება გრიმსტონი. ალან ჩეპმენი კი, კაპიტან უედერბერნის ნაცვლად, ინიშნება შოტლანდიის საქმეთა სამინისტროს საპარლამენტო მდივნის პოსტზე. სამხედრო მომარაგების მინისტრის მოადგილედ ინიშნება პიტი. სამხედრო მინისტრის მოადგილედ ინიშნება არტურ ჰენდერსონი.

იქმნება საამშენებლო სამუშაოთა მინისტრის მოადგილის დამატებითი პოსტი. ამ პოსტზე დანიშნულია სტრაუსი, რომელსაც დაეკისრება დაგეგმვის ხელმძღვანელობა.

ჰაიდრიხის ახალი მხეცური ბრძანება

ლონდონი, 4 მარტი (საქდესი). ლონდონის ჩეხთა წრეებში მიიღეს ცნობა, რომ „ჩეხიისა და მორავიის პროტექტორმა" ჰაიდრიხმა ბრძანება გასცა „პროტექტორატის" ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ებრაელი ტერეზინის ცნობილ შუასაუკუნეებრივ საპყრობილეში გაჰგზავნონ. 90 ათასამდე ებრაელი მოთავსებულ იქნება ციხის ნესტიან კაზემატებში.

საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის VI პლენუმი

28 თებერვალს შესდგა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის VI პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს 1941 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე ამხანაგ სტალინის მოხსენებაში მოცემული მითითებების თბილისის კომკავშირული ორგანიზაციების მიერ შესრულების მიმდინარეობის შესახებ და ორგანიზაციული საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ა. შენგელია.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: კ. გოგლიძე, მამანტოვი, გოგლიძე, ქვარცხავა, თარხანოვი, გედევანიშვილი, გორშკოვა, გელაშვილი, ზაგორუიკო და შაუმიანი. კამათის დასასრულს პლენუმმა მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი.

პლენუმმა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივნად სამხედრო მუშაობის დარგში დაამტკიცა ამხ. ო. აბუაშვილი, კულტურულ-მასობრივი მუშაობის კომისიის თავმჯდომარედ ამხ. ვ. ბალუევა, მოსწავლე ახალგაზრდობასა და პიონერთა შორის მუშაობის კომისიის თავმჯდომარედ—ამხ. ნ. ლაბარტყავა, აგიტაციისა და პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარედ ამხ. ა. ჭიხორია, სამხედრო-ფიზკულტურული მუშაობის კომისიის თავმჯდომარედ —ამხ. გ. ჯეჯელავა.

პლენუმმა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის ბიუროს შემადგენლობიდან გამოიყვანა ამხ. ნ. იგაშენაშვილი, ამხ. რ. მოწერელია, მათი პარტიულ სამუშაოზე გადაყვანის გამო, და ამხ. პეტროსიანი—მისი წითელ ჯარში გაწვევის გამო.

ბიუროს შემადგენლობაში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხანაგები: ვ. პეტრიაშვილი (ბერიას სახელობის ა.-კ. რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე კომკავშირის ხაზით), ა. ფარულავა (საქ. ალკკ თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი) და ამხ. ა. ხელაძე.

მეტი ქვანახშირი ქვეყანას!

მოწინავე მეშახტეები პარტიის რიგებში შედიან

ტყვარჩელი („კომუნისტის" კორ.). ტყვარჩელის შახტის მოწინავე ადამიანები ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში შედიან და კიდევ უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპებს. უკანასკნელ ხანებში შახტის პარტიულმა ორგანიზაციამ თავის რიგებში მიიღო მესამე უბნის გამოჩენილი სტახანოველი ამხ. აიბა, რომელიც ყოველდღიურ გეგმებს 300-400 პროცენტით ასრულებს. პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღებული არიან იმავე უბნის სტახანოველი ოთხასოვანი ამხ. ზვერევიჩი და სტახანოველი მემანქანე ამხ. კალევი.

პარტიის რიგებში შედიან აგრეთვე შახტის სპეციალისტები. ამ დღეებში პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულ იქნა ინჟინერი, მეორე უბნის უფროსის მოადგილე ამხ. მესხი.

შახტის მოწინავე ახალგაზრდების ხარჯზე იზრდება აგრეთვე კომკავშირული ორგანიზაციის რიგები. სამამულო ომის დღეებში კომკავშირის ორგანიზაციაში მიღებულ იქნა 80-ზე მეტი ახალგაზრდა მეშახტე, მათ შორის ცნობილი სტახანოველი ქალი ამხ. ე. გრინი, მესამე უბნის მოწინავე ბრიგადირი ამხ. გორბატი, მექანიკოსი ამხ. ჩანტუევი, ოთხასოვანი მთხრელი ამხ. ერინი.

გ. მერკვილაძე

ძველი მაღაროელები ქვანახშირის სანგრევებში იწყებენ მუშაობას

ტყიბული („კომუნისტის" კორ.). 22 თებერვალს ჭიათურიდან და საჩხერიდან ტყიბულის მაღაროებში სამუშაოდ ჩამოვიდა 133 ძველი მაღაროელი. ტრესტის მმართველის თანაშემწე ამხ. შ. ცირეკიძემ საუბარი გამართა მათთან, რის შემდეგაც ახლად მოსული მუშები განაწილებულ იქნენ სამუშაოდ უბნებში.

ჭიათურელი და საჩხერელი მუშები უკვე შეუდგნენ მაღაროების გაცნობას. ბევრი მათგანი ვალდებულებას იღებს გახდეს ორასოვანი. მნგრეველებმა და მებიგეებმა ამხ. პ. ჯაფარიძემ, ვ. კერესელიძემ, ა. კირკიტაძემ და სხვებმა, რომლებსაც რამდენიმე წლის განმავლობაში სტახანოვურად უმუშავნიათ ჭიათურის მაღაროებში მადნის ნგრევაზე და მაღაროს გამაგრებაზე, ვალდებულება აიღეს ტყიბულის მაღაროებშიც სტახანოვურად იმუშაონ და ყოველდღიურად 2-3 ნორმა შეასრულონ.

ჩვენი სიგნალების შედეგად

ტყიბული („კომუნისტის" კორ.). „კომუნისტის" 3 და 5 თებერვლის ნომრებში ვწერდით, რომ დასავლეთის შახტში, მოუწესრიგებელია სატაბელო მეურნეობა, ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს და დაუსჯელი რჩებიან სამუშაოს გამცდენები. ამის გამო საქმეში ჩაერია ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველის თანაშემწე ამხ. შალვა ცირეკიძე, რომელმაც გაატარა მთელი რიგი ღონისძიებანი მაღაროში შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად და სატაბელო მეურნეობის მოსაწესრიგებლად. სატაბელო მეურნეობის უფროსი სირაძე, რომელმაც თავი ვერ გაართვა მუშაობას, განთავისუფლებულია სამუშაოდან. მის ადგილზე დანიშნულია ამხ. ი. ფორჩხიძე.

შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ მაღაროში ატარებენ კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. 23 თებერვალს მაღაროელთა კლუბში გაასამართლეს სამუშაოს გამცდენები კირილე ჯაოშვილი, დავით კაპანაძე და სევერიანე ლომძე.

მოხსენება

6 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის რაიაგიტპუნქტში შესდგება ამხ. ამატუნის მოხსენება რუსულ ენაზე. თემა: „ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე".

თეატრებში

საოპერა — 5 მარტს — „აიდა", 6 მარტს — „დაისი". **რუსთაველის სახელობის** —5 და 6 მარტს — „დავა" (პრემიერა), 7 მარტს — „პროფესორი მამლოკი". **მარჯანიშვილის სახელობის**—5 და 6 მარტს—„მეფე ერეკლე", 7 მარტს — „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი". **სანკულტურის** — 5 მარტს — „აჯილლა", 7 და 8 მარტს—„გმირი". **მუსიკალური კომედიის** — 5 მარტს „როზ-მარი", 6 მარტს — „საქორწინო მოგზაურობა". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 5 მარტს — საღამო-კონცერტი (მე-10 აბ. დასაწყ. დღის 4 ს.). 6 მარტს —საღამო-კონცერტი (მე-5 აბ. დასაწყ. საღ. 6 ს.).

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2842348, გაცემული ლონგინოზ დიანოსის-ძე კვატაშიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2858192, გაცემული ნადეჟდა გიორგის-ასულ ხეცურიანის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. და ოქტომბერი—„არტამონოვების საქმე", **დამკვრელი** — „ტანკისტები", **კომკავშირელი** — „მეორე ქალი და მწყემსი", **სპარტაკი** — „პეპო", **ლუქსემბურგის სახ.**—„საბრძოლო კინოკრებული № 8", **კომინტერნი** — „მეორე", „ცა" და „ჯოჯოხეთი", **მეცნიერება და ცოდნა** — „დურსუნ", **26 კომ. სახ.**—„გამანადგურებლები".

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**

უახლოეს დღეებში კინოთეატრების ეკრანებზე ნაჩვენები იქნება დოკუმენტალური ფილმი

გერმანელთა ჯარების განადგურება მოსკოვთან

ფილმის გეგმა და მონტაჟი ეკუთვნის რეჟისორებს ორდენოსან **ლ. ვარლამოვს** და სტალინური პრემიის ლაურეატს **ი. კოპალინს.**

ფილმი გადაიღეს ოპერატორებმა:

ი. ბელიაკოვმა, ტ. ბოზროვმა, ტ. ბუნიმოვიჩმა, პ. კასატკინმა, რ. კარმენმა, ა. კრილოვმა, ა. ლებედევმა, ბ. ნებილიცკიმ, ბ. მაკასეევმა, მ. შნეიდეროვმა, ვ. შტატლანდმა, ა. შეკუტიევმა, ა. ელბე-ტმა, ვ. სოლოვიოვმა, ს. შერმა.

კინოქრონიკის ცენტრალური სტუდიის წარმოება

„გლავკინოპროკატის" საქართველოს კანტორის გამოშვება.

საქ. ჯანსახკომის თბილისის ფარმაკო-ქიმიური ქარხნის დირექცია იუწყება პროფესორ

ნიკოლოზ მიხეილის-ძე მასხულიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 5/III თბილისში. 190

„საქვაჭრობის" ხაშურის განყოფილების დირექცია იუწყება პ. გელაშვილის შვილის

ოთარ გელაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 5/III 5 ს. ქ. ხაშურში, ალმასკომის ქ. № 3. 187

საქენერგოს ქსელების პირველი რაიონი იუწყება ელენე ბურჯანაძის ძმის

მიხეილ ათანასეს-ძე ბურჯანაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზესტაფონში 8/III.

თბილისის რკინიგზის ბავშვთა კონსულტაციის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 8/III 2½ ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია პ. ბუაძის შვილის

ეთერ სვეინარის-ასულ ბუაძის

სამოქ. პანაშვიდი. 189

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

უე 6428